



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა „ფიზიკა და ასტრონომია“

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 12-14 აპრილი, 2021 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
1 ივნისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა და ასტრონომია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0533 ფიზიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული №102, 17 ოქტომბერი 2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ შანიძე სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ ჭილაძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაზა მელიქიშვილი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კომბერნეტიკის ინსტიტუტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ლალიაშვილი სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა და ასტრონომია“ აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის საფუძველზე და მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამის 1 ECTS კრედიტი 25 საათს შეესაბამება. პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „ფიზიკის მაგისტრი“.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების - „ფიზიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“, „ფიზიკა და ასტრონომიის“ (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები) აკრედიტაცია - 2021 წლის 12, 13 და 14 აპრილს ჩატარდა. კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი ნაწილი ჩატარდა დისტანციურად, zoom პლატფორმის საშუალებით. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მანის დათვალიერება განხორციელდა 2021 წლის 12 აპრილს, ადგილზე მისვლით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის T და G კორპუსებში განლაგებული აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ფიზიკის ლაბორატორია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგით დისტანციურ რეჟიმში შეხვდნენ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სამივე საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებს და დამსაქმებლებს. ვიზიტის ბოლო დღე დაეთმო სამივე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნითი ანგარიშები სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწოდებული მასალებისა და აკრედიტაციის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა და ასტრონომია“ საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკა თავისი მიზნებით, სწავლებისა და სწავლის მეთოდებით შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით,

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

გამლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს კვლევაზე ორიენტირებული სწავლება, რომლის განხორციელებაში დიდი როლო ეთმობათ ფაკულტეტზე არსებულ საკვლევ ინსტიტუტებს. უნივერსიტეტი ეფექტურად იყენებს უცხოეთის აკადემიურ დაწესებულებებში მოღვაწე თანამემამულეების გამოცდილებას, რაც მათ კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში ეხმარება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ფიზიკა და ასტრონომია“, სრულად შეესაბამება ამ უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიასა და გეგმას. მისიის მიხედვით, უნივერსიტეტს საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო შექმნა აქვთ დასახული საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა და ასტრონომია“ საუნივერსიტეტო სწავლების შუალედურ, მეორე საფეხურს მიეკუთვნება. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. კერძოდ, პროგრამის მიზანია, მოამზადოს ახალი თაობის მკვლევარი, რომელსაც აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ფიზიკის აქტუალური საკითხების, თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების შესახებ, სპეციალიზებულია პროგრამით შემოთავაზებული ერთ-ერთი მიმართულებით (ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა, თეორიული ასტროფიზიკა, კოსმოლოგია და გრავიტაცია, კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა, ასტრონომია-ასტროფიზიკა, ატმოსფეროსა და იონოსფეროს ფიზიკა, ბიოფიზიკა) და შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა არჩეული მიმართულებით, რაც ქმნის წინაპირობას, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი როგორც დასაქმების ბაზარზე, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე. მართლაც, 2015-2020 წლებში დასაქმდა კურსდამთავრებულთა 100%. აქედან 90%-ზე მეტი დასაქმდა სპეციალობით ან მონათესავე დარგში. კურსდამთავრებულთა 38%-მა კი სწავლა გააგრძელა სადოქტორო პროგრამებზე. კურსდამთავრებულების ძლიერ კვლევით პოტენციალზე მიგვითითებს მათი სამაგისტრო ნაშრომები, როგორც თემატიკით, ასევე შესრულების დონით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფა ქართულ ენაზე, ხელს უწყობს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის განვითარებას. ასეთი მიდგომა, უდავოდ შეიცავს სამეცნიერო დარგისა და ქართული საზოგადოების განვითარების წინაპირობებს. მეორეს მხრივ, ასევე დიდი მნიშვნელობა

ენიჭება ინგლისურ ენას, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენას წარმოადგენს და აუცილებელია სხვადასხვა სამეცნიერო და ასევე არასამეცნიერო საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებებთან საურთიერთოდ.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობა და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა უზრუნველყოფს კვლევისა და სწავლების ერთიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- გასაუბრება პროგრამის კურსდამთავრებულებთან, სამაგისტრო ნაშრომების ხემძღვანელებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, საგრანტო პროექტების სია
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- სამაგისტრო ნაშრომები
- ელექტრონული რესურსები: ილიაუნის ვებგვერდი (www.iliauni.edu.ge) და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა და ასტრონომია“ იძლევა ამ მიმართულების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას. ფიზიკის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ფიზიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგებში აკადემიურ და საკვლევ საქმიანობას, როგორც არის, მაგალითად, ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა და კოსმოლოგია, თეორიული ასტროფიზიკა, კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა, ვარსკვლავთ და გარეგანაქტიკური ასტრონომია, მზის ფიზიკა, კოსმოლოგია, ატმოსფეროსა და იონოსფეროს ფიზიკა, ბიოფიზიკა.

ფიზიკის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა როგორც ფიზიკის ფუნდამენტური კანონებისა და პრინციპების, ასევე არჩეული მიმართულებით აქტუალური საკითხების, მიღწევებისა და პრობლემებს შესახებ. შეუძლია რიცხვითი და ანალიზური მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფიზიკური მოვლენების თეორიული მოდელებისთვის და ფიზიკის რთული ამოცანების ამოხსნისთვის, მათ შორის კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. შეუძლია რთული ფიზიკური პროცესების კონცეპტუალური აღწერა, მონაცემთა დამუშავება და მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. შეუძლია არჩეული კონცეპტის ფარგლებში სამეცნიერო კვლევის ეტიკის ნორმების დაცვით დაგეგმოს და შეასრულოს თეორიული/ექსპერიმენტული/დაკვირვებითი ან კომბინირებული სახის კვლევითი პროექტი შესაბამისი ინსტრუმენტების და მეთოდების გამოყენებით. ასევე შეუძლია დამოუკიდებლად მართოს სწავლისა და კვლევის პროცესი, გამოავლინოს საკუთარი სამეცნიერო ხედვა და დამოკიდებულება.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა (განახლება) და შეფასება ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების და აგრეთვე უცხოელი კოლეგების ჩართულობით. ეს აქტივობა ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებისგან უკუკავშირით მიღებულ ინფორმაციას. ამ კუთხით, პროგრამის ხელმძღვანელებს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც,

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე და შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფაზე დაყრდობით შეიმუშავებული აქვს პროგრამის შეფასების სპეციალური ტრენინგ-მოდული.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იყენებენ მეთოდს, რომელიც ეფუძნება პირდაპირ და არაპირდაპირ გაზომვებს. ეს მეთოდები გულისხმობენ უკუკავშირის სხვადასხვა საშუალებებს და ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმებს. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემები გროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემები შეგროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, ამ მიზნით ტარდება რაოდენობრივი გამოკითხვები პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, და ფოკუს ჯგუფი პროგრამის დამსაქმებლებთან. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები ისახება სამაგისტრო პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები და სწავლის შედეგების მიღწევის რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- გასაუბრება სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და პტენციურ დამსაქმებლებთან
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- ლუვენის და გოთენბურგის უნივერსიტეტის პროფესორების წერილობითი შეფასებები
- სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე: „ფიზიკა და ასტრონომია“ მიიღებინა საერთო სამაგისტრო, შიდასაუნივერსიტეტო წერითი და ზეპირი გამოცდებით. გამოცდებით მოწმდება ფიზიკის და მათემატიკის ცოდნა და მოტივაციის, კომუნიკაციის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები. ასევე მოწმდება ინგლისური ენის დარგობრივი ცოდნა B1 დონეზე.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებისას სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკაში, მათემატიკაში, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში, ინჟინერიის და საინჟინრო საქმის სფეროში. პროგრამით დაინტერესებულ ბაკალავრთა რაოდენობას მნიშვნელოვნად ზრდის ის გარემოება, რომ რომ მსურველს არ მოეთხოვება მხოლოდ ფიზიკის ბაკალავრის ხარისხი. პროგრამაზე შესაძლებელია მობილობით ჩარიცხვა, რაც ასევე ზრდის პროგრამით დაინტერესებულთა რაოდენობას.

მიღების პირობები თავსდება უნივერსიტეტის და შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდებზე. აგრეთვე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი საქართველოს მასშტაბით ატარებს აბიტურიენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს. ამავე მიზნით 2020 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს ონლაინ „ღია კარის დღეს“.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- გასაუბრებები ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი და წერითი გამოცდის პირობების და შეფასების დოკუმენტი
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდი (www.naec.ge)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.iliauni.edu.ge)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა: “ფიზიკა და ასტრონომია” შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებისა, შესაძლებლობების და წამყვანი საერთაშორისო ანალოგების გამოცდილების გათვალისწინებით. მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ რექტორი, პრორექტორი, მიმართულების ხელმძღვანელები, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. აგრეთვე გათვალისწინებული იყო დამსაქმებლების და უცხოელი კოლეგების მოსაზრებები და რეკომენდაციები.

კურიკულუმი შედგება საერთო ბლოკის და პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. ის გრძელდება 4 სემესტრი და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). აქედან 30 კრედიტი შეესაბამება საერთო ბლოკის სავალდებულო კურსებს, 90 კრედიტი - სავალდებულო კურსებს არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით. ფიზიკის და ასტრონომიის პროგრამის სტუდენტს სწავლის ძირითადი სფეროს ფარგლებში შეუძლიათ ცოდნის გაფართოვება შემდეგი შვიდი კონცენტრაციიდან ერთ-ერთში: (I) ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა; (II) თეორიული ასტროფიზიკა; (III) კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა; (IV) ასტრონომია-ასტროფიზიკა; (V) კოსმოლოგია და გრავიტაცია; (VI) ატმოსფეროს და

იონოსფეროს ფიზიკა; (VII) ბიოფიზიკა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გათვალისწინებულია კონკრეტული კონცენტრაციის ფარგლებში.

პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაში სრულად არის გათვალისწინებული როგორც შიდა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი და პროცედურები), ასევე გარე მარეგულირებელი (ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები) დოკუმენტები. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
- საერთაშორისო ანალოგების ჩამონათვალი და შესაბამისი ვებ-გვერდები
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია და სამაგისტრო ნაშრომების სია
- ლუვენის და გოტენბურგის უნივერსიტეტის პროფესორების წერილობითი შეფასება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.iliauni.edu.ge)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის: „ფიზიკა და ასტრონომია“ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სწავლების მეთოდები, აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები მოწმობს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან. ასევე, ყოველი სასწავლო კურსზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ კურსის სწავლების შედეგების, მასალის მოცულობის და სირთულის შესაბამისად.

კურსების შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს. კურსების უმრავლესობა ასევე ითვალისწინებს სამეცნიერო პერიოდიკასთან მუშაობას. ზოგიერთ შემთხვევაში კი სტუდენტს დამოუკიდებლად უწევს ვალიდური და რელევანტური წყაროების მოძიება უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სამეცნიერო ბაზებში. ეს მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან რიდერების სახით, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომით: ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგების მიღწევის რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „ფიზიკა და ასტრონომია“, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სტუდენტებში იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც არჩეული მიმართულებით სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად არის აუცილებელი. ასეთი უნარ-ჩვევების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობას, მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მეთოდოლოგიის ცოდნას და გამოყენებას. ამავე ეტაპზე მაგისტრანტი ეცნობა აკადემიური კეთილსინდისიერების და სამეცნიერო ეთიკის ნორმების და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას სამეცნიერო-კვლევით თუ აკადემიურ მუშაობაში.</p> <p>სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტების კვლევით პროექტებში ჩართვა, ძირითადად ფაკულტეტზე არსებული კვლევითი ინსტრუქტების საშუალებით</p>

ხორციელდება. მაგისტრატურის 7 კონცენტრაციასთან, რომელთა არჩევა შეუძლიათ სტუდენტებს, დაკავშირებული შესაბამის პროფილის ინსტიტუტი ან სამეცნიერო ცენტრი, რომლებიც ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებს წარმოადგენენ. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ამ სამეცნიერო ცენტრების წამყვანი მკვლევარების პოზიცია უკავიათ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიოფიზიკის, თეორიული ფიზიკის და გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტები და „ახალი მასალები ნანოელექტრონიკისათვის“ ცენტრი. განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ევგენი ხარადის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიასთან. „ასტროფიზიკა-ასტრონომიის“, „კოსმოლოგია და გრავიტაციის“, „ატმოსფეროს და იონოსფეროს ფიზიკის“ კონცენტრაციების მაგისტრები ობსერვატორიის კვლევით პროექტებში მონაწილეობენ, რომელთა უმრავლესობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ხელმძღვანელობენ.

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს საერთაშორისო თანამშრომლობის მაღალი დონე გამოარჩევს. აღსანიშნავია, რომ ილიას უნივერსიტეტის ფართო სამეცნიერო კონტაქტები აქვს და კარგად იყენებს სხვადასვა ევროპულ პროგრამებს, მაგალითად Erasmus-ს. განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობა ილიას უნივერსიტეტს აქვს გოტინგენის (გერმანია), ლუვენის (ბელგია), გრაცის (ავსტრია), ოჰაიოს (აშშ) და კარნეგი მელონის (აშშ) უნივერსიტეტებთან. ილიას უნივერსიტეტს შემუშავებულია სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დეტალური აღწერა, პირობები, შეფასების მეთოდები, რაც ხელს უწყობს მაგისტრანტებს სამაგისტრო პროექტის წაემატრებით დასრულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა
 - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
 - სწავლის შედეგების მიღწევის რუკა
 - პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები-
- აკრედიტაციით გათვალისწინებული შეხვედრები და ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც ილიას უნივერსიტეტის ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტო პროგრამაზე გამოიყენება, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. სწავლების დროს სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, მათ შორის: ლექცია; სემინარი; პრაქტიკული მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; დისკუსია/დებატები; ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ელექტრონული სწავლების ელემენტები;</p> <p>სწავლა-სწავლების პროცესში ილიას უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას თავაზობს, რაც მათ განსხვავებულ მოთხოვნებს თუ შესაძლებლობებს ითვალისწინებს. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ასევე გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან. ინდივიდუალური კონსულტაციების დანიშვნისთვის სტუდენტები იყენებენ უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემას („არგუსი“).</p> <p>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში აღსანიშნავია ილიას უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“ როლი. ასეთი გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის არის მნიშვნელოვანი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</p> <p>- საგანმანათლებლო პროგრამა</p>

<p>-საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში -სწავლის შედეგების მიღწევის რუკა -პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები -აკრედიტაციით გათვალისწინებული შეხვედრები და ინტერვიუები</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტთა შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. ეს წესები საჯაროა, ხელმისაწვდომია, გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების, შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და</p>

სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას,

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

თითოთულ სასწავლო კურსში სტუდენტი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და ლაბორატორიული/საველე მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 51-დან 100 ქულამდე დაგროვება. შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- (A) 91-100 ფრიადი
- (B) 81-90 ძალიან კარგი
- (C) 71-80 კარგი
- (D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
- (E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომის ხელახალი დაცვის უფლება

(F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი.

შეფასების კომპონენტებია:

1. ხელმძღვანელის შეფასება (პროექტის გეგმა და პროგრესის ანგარიშები) - 20 ქულა.
2. რეცენზენტის შეფასება – 50 ქულა. თუ რეცენზენტი ორია, მაშინ ამ კომპონენტის შეფასება საშუალო არითმეტიკულს წარმოადგენდეს
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა.

დაცვის კომისია შედგება დარგობრივი კომისიის მინიმუმ 3 წევრისაგან და მის შემადგენლობაში დამატებითად შეიძლება შედიოდეს დარგის/პროფილის სპეციალისტი სხვა ორგანიზაციიდან (სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე). დაცვის კომისიის თითოთეული წევრი აფასებს სამაგისტრო ნაშრომს და პრეზენტაციას ინდივიდუალურად ზემოთ მითითებული კრიტერიუმების და მათთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით. დაცვის საბოლოო ქულა ანგარიშდება

თითოეული წევრის მიერ განსაზღვრული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის გაანგარიშებით.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სამივე კომპონენტში აგროვებს 41-50 ქულამდე, მან ხელახლა უნდა დაიცვას ნაშრომი მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე. დაცვებს შორის მინიმალური პერიოდი უნდა იყოს 7 დღე.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“ არაა წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები ქულების მიხედვით.

სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის პროცედურები დეტალურადაა გაწერილი „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესში“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი.
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასაკვალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერულ განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან, ასევე

პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფიზიკა და ასტრონომია“ სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათში, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა სტუდენტები მობილობას ფაქტობრივად არ იყენებენ. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. სტუდენტები ინდივიდუალურ კონსულტაციებს აკადემიური პერსონალისაგან იღებენ მათთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა სტუდენტებისათვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება, თუ ფაკულტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგს დეპარტამენტების მიხედვით და განათავსებს თავის ვებ-გვერდზე.

ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ როგორც უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის , ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა აკადემიური პერსონალის მეშვეობით. უნივერსიტეტში იმართება დასაქმების ფორუმები, მაგისტრანტები დასაქმებულები არიან, თუმცა წარმოდგენილმა დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს თქვეს, რომ აღნიშნული პროგრამიდან არცერთი სტუდენტი არ მუშაობს მათთან, მაშინ როცა მათ აქვთ ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა. ამრიგად, კარგი იქნება თუ გაძლიერდება სტუდენტების ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცემა სისტემატიური ხასიათი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი.
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება.
- სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის~

- ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე. გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „ფიზიკა და ასტრონომია“ ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. თითოეული მათგანი აქტიური მეცნიერია. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია და მოვალეობები გაწერილია „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში“. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსებში არსებული დამოუკიდებელი სამუშაოებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ მაგისტრანტთან (საშუალოდ კვირაში 4სთ-ის განმავლობაში) ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში, აგრეთვე სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების თაობაზე.</p> <p>ექსპერტთა მიერ გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომები, რის შედეგადაც აღინიშნა, რომ ისინი სრულიად აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით <p>-„სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“.</p> <p>-პერსონალის CV-ები, გამოქვეყნებულ ნაშრომთა რაოდენობა, ციტირების ინდექსი, h-ინდექსი;</p> <p>პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.</p>

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერ მხარეს უდავოდ აკადემიური პერსონალი წარმოადგენს. უნივერსიტეტის პროფესორთა დიდი ნაწილი თავის მიმართულების წამყვან მეცნიერია და აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა. აკადემიური პერსონალის მაღალი სამეცნიერო კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით.

პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს მჭიდროდ თანამშრომლობა აკავშირებს ევროპის და აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებთან (გოტინგენის უნივერსიტეტი, ლუ ვენის უნივერსიტეტი, გრაცის უნივერსიტეტი, ოჰაიოს უნივერსიტეტი, კარნეგი მელონის უნივერსიტეტი). აღსანიშნავია ასევე თანამშრომლობა გერმანიის კოსმოსურ სააგენტოსთან (DLR), ტრიესტის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრთან.

ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, პროგრამის ხელმძღვანელები ორგანიზებას უწევენ პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესს. ხელმძღვანელები ასევე ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელების შეფასებაში პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებზე პროგრამის ხელმძღვანელები შეიმუშავებენ პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. პროგრამის შემუშავების, მისი განხორციელების შეფასებისა და შესაბამისი ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.

პროგრამის მდგრადობას ასევე უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებული თანაფარდობა (39/18) და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობა (ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის ექსპერტი და კოორდინატორი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

-საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
-ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი მასალები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები)
-აკრედიტაციის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები და ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც კვლევაზე ორიენტირებულ უსდ-ში დიდი როლი ეთმობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ეფექტურობის შეფასებას. ასეთი შეფასება და მიღებული შედეგების ანალიზი ხელს უწყობს როგორც აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ასევე უნივერსიტეტის საკვლევო ინსტიტუტების საქმიანობის დაგეგმვას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ERASMUS+ მხარდაჭერით დაარსებული მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომლის ტრენინ-მოდულები სწავლების პროცესში ჩართული პერსონალს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალებას აძლევს. საკვლევო პროგრამის განსაზღვრისთვის ილიას უნივერსიტეტში 2017 წელს შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარება და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირება. საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს.

აკადემიური პერსონალის და მკვლევარების პროფესიული განვითარებას უნივერსიტეტი სხვადასხვა საშუალებით უჭერს მხარს. ამ თვალსაზრისით გამოვყოფდით კვლევითი ინსტიტუტების საუნივერსიტეტო დაფინანსებას, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის არის განკუთვნილი და მათ პროფესიული განვითარების საშუალებას აძლევს. ახალგაზრდა მკვლევარებისთვის უნივერსიტეტში დაარსებულია პასკალის პრემია, რომელიც დარგში გაკეთებული გამორჩეული სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორებს გადაეცემათ. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, რისთვისაც განსაზღვრულია დაფინანსების წესი, რაც კონკრეტული მოთხოვნებს გულისხმობს. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებს შეუძლიათ ისერგებლონ საგარეო ურთიერთობების სამსახურის საერთაშორისო პროგრამებით, მათ შორის ERASMUS+ პროგრამით.

საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო მოხილვისათვის ERASMUS+ პროგრამების ფარგლებში; ხელს უწყობს უცხოელი მკვლევარებისა და პროფესორების მოხილვას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

-საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

-ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი მასალები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები)

-აკრედიტაციით გათვალისწინებული შეხვედრები და ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
<p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა ბიოფიზიკის ინსტიტუტის, თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის, გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის, ცენტრის „ახალი მასალები ნანოელექტრონიკისათვის“, კონდენსირებულ გარემოთა თეორიის და გამოთვლითი კვანტური ფიზიკის ცენტრის რესურსებთან და მონაცემთა ბაზებთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების კომპონენტებს ყველა საჭირო რესურსით, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფით და მონაცემთა ბაზებზე წვდომით.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს. აღნიშნული ფონდი საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლესი ტენდენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე</p>

განხორციელებას. ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად თავსდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს ახალი რესურსის ხელმისაწვდომობის შესახებ. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის პროგრამით განსაზღვრულ საგნების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა როგორც წიგნების, ასევე ელექტრონული ფორმით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები: ❖ Science Direct35 ❖ Scopus ❖ Clarivate Analytics ❖ ISI Web of Knowledge ❖ ProQuest Research Library ❖ ProQuest Dissertations & Theses Global ❖ Taylor & Francis ❖ Pivot - funding connected ❖ Sage ❖ LexisNexis ❖ Ebsco Host ❖ Humanity Source ❖ Political Science Complete ❖ Jstor ❖ Jstor e-books collection ❖ BioOne ❖ Project Muse ❖ Cambridge Journals ❖ Directory of Open Acces Journals ❖ IMF eLibrary ❖ Royal Society Publishing ❖ Britannica Encyclopedia ❖ The New England Journal of Medicine ❖ Elgaronline ❖ Project Gutenberg ❖ Journal of Autism and Development Disorders ❖ Hinary ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უშუალო დათვალიერება;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, უნივერსიტეტის მისიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის ფუნდამენტური მეცნიერებების ხელშეწყობა, ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი. რაც თავისთავად მოიაზრებს ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და მის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე, პროგრამის დაფინანსების მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები (ხელფასები, პრემია, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინება, საკანცელარიო ნივთები, ნორმატიული და სპეციალური ლიტერატურა, სამეცნიერო/სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სხვა ხარჯები), როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასუბრებისას გაირკვა შესაძლებელია ბიუჯეტის კორექტირება მოცემული საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან ხდება აგრეთვე კვლევისათვის საჭირო რესურსის შეძენა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი მასალის/რესურსის შეძენა ასევე გათვალისწინებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლით რომ პროგრამის მდგრად დაფინანსებას საფრთხე არ ემუქრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში;
-ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
-პროგრამის ბიუჯეტი
-ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციაზე მომუშავე თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი, საფინანსო სამსახურის უფროსი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ელექტრონული კითხვარები სტუდენტებისთვის, ასევე ხდება აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა რათა შეფასდეს სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების და სტუდენტური სერვისების ხარისხი. გამოკითხვები ტარდება პერიოდულად და შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.</p> <p>უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად არის ჩართული ყველა რგოლი იმდენად, რამდენადაც უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის მიღწევის შემოწმების მიზნით (მონიტორინგი) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სხვადასხვა დონის მმართველობასთან: აკადემიური საბჭო, რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა სახით: რაოდენობრივი, თვისობრივი, ხარისხობრივი, შერეული კვლევა/შეფასება/ანალიზი (აკადემიური, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების,</p>

დამსაქმებელების და სხვა კვლევა), რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ საკითხის გამოვლენას, რაც უნივერსიტეტისთვის გასათვალისწინებელი ან დასაგეგმი იყო, საჭიროებდა გადახედვას და კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში - რეაგირებას, პოლიტიკის შეცვლას ან უკვე მიღწეულის იმპლემენტაციას. შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგების რეაგირების მექანიზმების შესაბამისად მიღებული კვლევის შედეგები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის გასაუმჯობესებელ და ძლიერ მხარეებს, განსაზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და იმ სტრატეგიას, რომელიც ინსტიტუციის განვითარებას მიიყვანს დასახულ ნიშნულამდე. კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების გზები აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“, რაც გულისხმობს შემდეგს: თავდაპირველად ხდება პროგრამის შემუშავება და დამტკიცება – ანუ შინაარსისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა – სპეციალური ინსტრუქციის (საუნივერსიტეტო სტანდარტის) მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებთან; პროგრამის დამტკიცებამდე დგინდება მისი შესაბამისობა საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან (სტანდარტთან); პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ანუ მისი ფუნქციონირების პროცესში ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება; შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება პროგრამის მოდიფიკაცია. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად საზომს წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები/სტანდარტები და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამისობა ხარისხის ეროვნულ სტანდარტებთან. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება დაგეგმილია გარკვეული რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენებით, რომელთა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ხდება გარკვეული დასკვნების შემუშავება.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ფიქსირდება ელექტრონულ სისტემაში, პერიოდულად ხდება აღნიშნული ინფორმაციისა და სტუდენტების მოსაზრებების დამუშავება და ანალიზი. შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალი პრაგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს.

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით <p>-ჩატარებული გამოკითხვების შედეგები; -ინტერვიუს შედეგები.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფაში არსებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხის ბოლო აკრედიტაციის პროცესის შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებას მომდევნო აკრედიტაციის პროცესისათვის მზადებაში.

განსახილველი პროგრამა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი, თუმცა წინა აკრედიტაცია 2011 წელს მიიღო. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად მოხდა პროგრამის განახლება. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად მოხდა გარე შეფასების გამოყენებაც.

უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებისა და განვითარების ეტაპებზე ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებას. გარე შეფასებას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები შესაბამისი გამოკითხვების გზით. პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პროგრამამ უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად გაიარა გარე შეფასების ეტაპი. ძირითად უკუკავშირს წარმოადგენდა დამსაქმებლების გამოკითხვები, რომლის შედეგად გაძლიერდა ზოგიერთი სწავლების კომპონენტი.

უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებისა და განვითარების ეტაპებზე ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებას. გარე შეფასებას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები შესაბამისი გამოკითხვების გზით. პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პროგრამამ უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად გაიარა გარე შეფასების ეტაპი. ძირითად უკუკავშირს წარმოადგენდა დამსაქმებლების გამოკითხვები, რომლის შედეგად გაძლიერდა ზოგიერთი სწავლების კომპონენტი.

სამაგისტრო პროგრამის „ფიზიკა და ასტრონომია“ გარე შეფასების მიზნით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული იყო უცხოელი კოლეგების - ლიუვენის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ სტეფან პუდსის (ბელგია) და გოთენბურგის უნივერსიტეტის პროფესორის - ჰენრი იოჰანესონის რჩევები და მოსაზრებანი.

უცხოელ მეცნიერთა აღნიშნული რჩევები და მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დროს, ასევე სამომავლოდ პროგრამის დღენიადაგ განვითარების მიზნით დასახულია უცხოელ გამოცდილ კოლეგებთან მუდმივი კავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

-ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

-ინტერვიუ დამსაქმებლებთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტთა (ანონიმური), აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და</p>

შეფასების მეთოდებისა შესახებ. შემუშავებულია კითხვარები დამსაქმებლებისათვის. ამ კითხვარებით, ერთი მხრივ, დამსაქმებლები აფასებენ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამას და, მეორე მხრივ, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და შესაძლო განახლება ხორციელდება პერიოდულად სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და დადგენილი წესის თანახმად.

შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის გადაფასების და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას.

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
- დანერგილია კითხვარების დამუშავებისა და შედეგების განხილვის მეთოდოლოგია, რადგან კითხვარი ყოველთვის რესპოდენტის ცხოვრებაში შეჭრას და რესპოდენტები ითვლებიან ინფორმაციის აქტიურ მომწოდებლებად, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში დაცულია რესპოდენტის/რესპოდენტების ანონიმურობა.
კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს წინასწარ შედგენილ კითხვებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ დამუშავებას, შედეგების გაანალიზებას, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (შეხვედრები რესპოდენტთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები/გამოკითხვები), რეკომენდაციების შემუშავებას, შესაბამისი სამსახურის ან/და პერსონალის ინფორმირებულობას და უკუკავშირისთვის რეაგირებას. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად;
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის იმავე უსდ-დან, ან სხვა უსდ-დან მოწვეული პირის მიერ) დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კითხვარს სასწავლო კურსის შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება კურსის დასახვეწად;
- პერიოდულად მოხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

- მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მოხდება პროგრამების შეფასება ხელმძღვანელის მიერ (უნივერსიტეტისთვის ეს მეთოდი აპრობირებულია): პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს სასწავლო კურსების ლექციებზე დასწრებას, რის შემდეგაც აკეთებს ანალიზს, რომელიც აისახება პროგრამის გასაუმჯობესებელი და ძლიერი მხარეების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარებისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიურად აკეთებს თვითშეფასების ანგარიშს, სადაც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივ მდგომარეობას და აფიქსირებს პროგრამის შიდა და გარე შემფასებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს; რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღწერს ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირების შემდეგ თვითშეფასების ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რის შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (საჭიროების შემთხვევაში).

პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ: შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
- განხორციელებული შეფასების შედეგები (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები);
- პროგრამის ხელმძღვანელის ლექციებზე დასწრების შედეგების ანალიზი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მოხილვების მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში.

პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები; აღნიშნული პირების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში უზრუნველყოფილია შრომის ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევის მეთოდით;

კვლევა ტარდება გამოკითხვის მეთოდით;

კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი პროგრამის ხელმძღვანელს აძლევს შესაბამის მიმართულებებს - უკეთ დაგეგმოს სასწავლო პროცესი, გაითვალისწინოს საბაზრო მოთხოვნები და სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული

პროგრამის განვითარების მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც შედგენილია სხვადასხვა სახის კითხვარები;

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება:

- ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანგარიშით;
- ბ) სააუდიტორიო მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელის დასწრების მიხედვით;
- გ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების მიხედვით (საუკეთესო გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით);
- დ) თითოეული სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტების გამოკითხვების მიხედვით (აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირის ფორმა);
- ე) აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება კითხვარების საშუალებით.

პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისად იქმნება ურთიერთდასწრების გრაფიკი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას:

- ა) სააუდიტორიო მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დასწრების შესახებ;
- ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების შესახებ.

ურთიერთდასწრების გრაფიკის შემუშავებაში ჩართულია: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი კი ჩართულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების გრაფიკის შემუშავებაში დასწრების სურვილის არსებობის შემთხვევაში, რადგან ეს საკითხი ნებაყოფლობითია.

სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის/აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით.

მიღებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი და რეკომენდაციები მომზადდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაცული იყოს შედეგების ანონიმურობა). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ურთიერთდასწრებისა და სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიშებს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით განსახორციელებელი რეკომენდაციების განხილვა მოხდება ერთობლივად, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის შეფასებები
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
<p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: ფიზიკა და ასტრონომია, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რევაზ შანიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

რევაზ ჭილაძე



ზაზა მელიქიშვილი



ლაშა ლალიაშვილი

